ზოგადი რეკომენდაციები და მოთხოვნები

1. მოთხოვნები საპროექტო ტერიტორიისადმი:

1.1 საჯარო სკოლის ტერიტორია შემოღობილი უნდა იყოს არაუმცირეს 1,5 მ სიმაღლის ღობით. საზღვრის გასწვრივ აუცილებელია არსებობდეს მწვანე ნარგავების ზოლი, რომლის სიგანე ნაკვეთის საზღვრების გასწვრივ უნდა იყოს არაუმცირეს 1,5 მ-ისა, ხოლო ქუჩის მხრიდან - არაუმცირეს 6 მ-ისა;

1.2 საჯარო სკოლის მიწის ნაკვეთზე უნდა გამოიყოს შემდეგი ფუნქციური ზონები: სასწავლო-საცდელი, სარეკრეაციო (სპორტულ – დასასვენებელი) და სამეურნეო;

1.3 სასწავლო-საცდელ ზონაში შენობების გრძივ ფასადებს შორის მანძილი უნდა იყოს არაუმცირეს 12 მეტრი. ამ მანძილის შემცირება დასაშვებია ინსოლაციის და განათებულობის ნორმების მოთხოვნების გათვალისწინებით;

1.4 სარეკრეაციო ზონაში ერთ მოსწავლეზე უნდა მოდიოდეს არაუმცირეს 5 $მ^2$ ფართისა, საერთო ფართით არაუმცირეს 400 $მ^2$;

1.5 სპორტული ზონა შენობებიდან დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ 25 მ-ისა. სპორტულ-სავარჯიშო მოედანს (სტანდარტული ზომები: 9X18 მ, 14X26 მ, 20X40 მ) უნდა ჰქონდეს მყარი საფარი;

1.6 დასასვენებელი ზონა უნდა იყოს სპორტული და სამეურნეო ზონებიდან მოშორებული, გააჩნდეს სათამაშო მოედანი და დასასვენებელი ადგილი, რომელიც უნდა განთავსდეს შენობის შესასვლელებთან ახლოს, თითოეული საფეხურის მოსწავლეებისათვის განცალკევებულად;

1.7 სამეურნეო ზონა უნდა განთავსდეს კვების ბლოკისა და სხვა სამეურნეო სათავსოების შესასვლელების მხარეს, შენობიდან არანაკლებ 35 მ-ისა და გააჩნდეს დამოუკიდებელი შესასვლელი ქუჩიდან;

1.8 სამეურნეო ზონის ტერიტორიაზე დასაშვებია საინჟინრო შენობა-ნაგებობების განთავსება (სან.კვანძები, სახანძრო აუზი, საქვაბე, წყალდამწნევი ავზი, სანაგვე და სხვა) და მას უნდა ჰქონდეს მყარი საფარი;

1.9 სანაგვე კონტეინერებისათვის უნდა მოეწყოს სპეციალური ბეტონის მოედანი, რომელიც დაშორებული უნდა იყოს კვების ბლოკის ფანჯრებისა და შესასვლელიდან არანაკლებ 25 მეტრით;

1.10 სამეურნეო ზონას უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი სამანქანო შესასვლელი;

1.11 იმ დასახლებებისათვის, სადაც არ არის ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა, სანიტარული კვანძის ბლოკი სავალდებულოა განთავსდეს სასკოლო ტერიტორიაზე, ცალკე მდგომი შენობის სახით;

1.12 საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულ შენობებთან მისასვლელები უნდა იძლეოდნენ სახანძრო მანქანების დაუბრკოლებელი შესვლის საშუალებას.

2. მოთხოვნები შენობებისადმი:

2.1 საჯარო სკოლის სათავსები იყოფა სასწავლო, სასწავლო-სპორტულ, კულტურულ-საგანმანათლებლო და საერთო დანიშნულების სათავსებად (კვების ბლოკი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, დამხმარე სათავსები, ექიმის ოთახი და სხვა);

2.2 საჯარო სკოლის შენობის სართულიანობა უნდა იყოს არაუმეტეს 3 სართულისა – სეისმური და სახანძრო ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინებით;

2.3 უნარშეზღუდულ პირთა გადაადგილებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს სათანადო პირობები (მათ შორის ლიფტი, სან. კვანძი და სხვა);

2.4 სასწავლო ბლოკის შენობ(ებ)ის საერთო ფართი ერთ მოსწავლეზე უნდა შეადგენდეს არაუმცირეს 4,0 $მ^2$;

2.5 საკლასო ოთახების ფართი ერთ მოსწავლეზე უნდა შეადგენდეს არაუმცირეს 2,0 $მ^2$;

2.6 პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ცალკე სასწავლო სექციები I-VI, VII-IX, X–XII კლასებისათვის დამოუკიდებელი რეკრიაციებითა და სანიტარული კვანძებით, ამასთან, I–VI კლასები (I–II კლასები მაინც) უნდა განთავსდეს იზოლირებულად, დამოუკიდებელი შესასვლელით, ფოიეთი, ღია გარდერობით და სანიტარული კვანძებით;

2.7 ვესტიბიულის ფართი გათვალისწინებული იყოს ერთ მოსწავლეზე 0.1$მ^2$-ის ოდენობით, ხოლო მოსწავლეთა ღია გარდერობების ფართი ვესტიბიულთან ერთ მოსწავლეზე 0.08 $მ^2$-ის ოდენობით;

2.8 სასწავლო სათავსები არ უნდა იყოს იმ შენობების სიახლოვეს, რომლებიც წარმოადგენენ ხმაურის ან სპეციფიური სუნის წყაროს (სახელოსნოები, სპორტული და საქტო დარბაზები, კვების ბლოკი და სხვა);

2.9 სკოლის სასწავლო სათავსები განთავსებული უნდა იყოს სამხრეთის, დასაშვებია აღმოსავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთ – დასავლეთის ორიენტაციით, კერძოდ: აღმოსავლეთიდან (90^0) სამხრეთ-დასავლეთამდე (225^0) სექტორის ფარგლებში, გამონაკლისია სპეციალიზებული კაბინეტები და ხაზვის საკლასო ოთახი, რომელთათვისაც რეკომენდებულია ჩრდილოეთის, დასაშვებია ჩრდილო-აღმოსავლეთის და ჩრდილო-დასავლეთის ორიენტაცია; იხ.ნახ. 1



ნახ. 1

2.10 სასწავლო სათავსების (საკლასო ოთახები, კაბინეტები, ლაბორატორიები და სხვა) განთავსება დაუშვებელია შენობის სარდაფში და ნახევარსარდაფში;

2.11 აუცილებელია სასწავლო და საზოგადოებრივი დანიშნულების სათავსების დაცვა ჭარბი ინსოლაციისგან;

2.12 სასწავლო სათავსის სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე უნდა იყოს 3.0 მეტრი;

2.13 სასწავლო სათავსებში ფანჯრის რაფის სიმაღლე უნდა იყოს არაუმცირეს 0,9 მეტრისა;

2.14 სასწავლო სათავსებში მოსწავლეთა სამუშაო ზონის პარამეტრების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს ხედვის კუთხე, რაც დაფიდან პირველი რიგის განაპირა ადგილებამდე დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის

უნდა იყოს არანაკლებ 45°, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის არანაკლებ 35°;

2.15 საკლასო ოთახებში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვროს საპროექტო მოცემულობის მიხედვით;

2.16 დაუშვებელია გასახდელების მოწყობა სასწავლო ფართში ან სარეკრეაციო ზონაში;

2.17 სარეკრეაციო სივრცე ერთ მოსწავლეზე იანგარიშება არაუმცირეს 0.75 $м^2$-ისა,

2.18 საკლასო ოთახებს შორის კედლები უნდა აკმაყოფილებდეს ხმის საიზოლაციო ნორმებს;

2.19 სასწავლო დანიშნულების სათავსებთან არსებული დერეფნები, სიგანით არაუმცირეს 2 მ (დერეფნის მინიმალური სიგანე არ უნდა მცირდებოდეს, თუნდაც კოლონის ხარჯზე), აუცილებელია განათდეს ბუნებრივი განათებით. ადმინისტრაციულ ბლოკში დერეფნის სიგანე იგივე პრინციპით დასაშვებია არაუმცირეს 1.5 მ. დაუშვებელია საევაკუაციო დანიშნულების დერეფნებში საფეხურების განთავსება;

2.20 სასურველია დირექტორის კაბინეტისა და სამასწავლებლოს (თავისი სან.კვანძებითა და გარდერობით) პირველ სართულზე ერთმანეთის გვერდზე განლაგება;

2.21 სპორტდარბაზი უნდა განთავსდეს შენობის პირველ სართულზე სპეციალურად მიშენებულ ან ცალკე მდგომ ფართში. კონკრეტული სკოლებისათვის სპორტდარბაზის ფართი განსაზღვრულია საპროექტო მოცემულობით;

2.22 სავალდებულოა სპორტდარბაზის განთავსება სასწავლო სათავსებისგან იზოლირებულად. აუცილებელია საევაკუაციო გასასვლელი უშუალოდ გარეთ გადიოდეს. სპორტდარბაზში და გასახდელებში შესვლა იზოლირებულად უნდა ხდებოდეს;

2.23 სპორტდარბაზის ზომები: 10X19 მ, 15X27 მ, 22X42 მ. სიმაღლე არაუმცირეს 6 მეტრი გადახურვის კონსტრუქციის ძირამდე;

2.24 სპორტდარბაზთან უნდა არსებობდეს სპორტული ინვენტარის სათავსი; ბიჭებისა და გოგონებისათვის ცალ-ცალკე გასახდელი, სან.კვანძი, საშხაპე; ინსტრუქტორის ოთახი (სან.კვანძით და საშხაპით);

2.25 შესასვლელი გასახდელებიდან სპორტდარბაზში უნდა მოეწყოს უშუალოდ ან სპეციალური დერეფნით;

2.26 სანიტარული კვანძი არ უნდა განთავსდეს შენობის შესასვლელის პირდაპირ ან მასთან ახლოს;

2.27 უნდა არსებობდეს ინვენტარის და სადეზინფექციო ხსნარების მოსამზადებელი დამხმარე სათავსი ტრაპით და ონკანით 2 $м^2$;

2.28 საჯარო სკოლის კვების ბლოკისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს კვების ობიექტებისათვის განკუთვნილი მოთხოვნები;

2.29 სალაბორანტოებს უნდა ჰქონდეს პირდაპირი კავშირი შესაბამის ლაბორატორიებთან და განთავსდეს საკლასო დაფის მხარეს;

2.30 საბუნებისმეტყველო ლაბორატორიასა და სალაბორანტოს შორის გათვალისწინებული უნდა იყოს ჩაშენებული გამწოვი კარადა, ორმხრივი მუშაობის შესაძლებლობით;

2.31 შენობაში არსებული რეკრეაციული სათავსების სიგანე უნდა იყოს არაუმცირეს 3 მეტრისა;
2.32 სან.კვანძები მოსწავლეებისათვის უნდა განთავსდეს სქესის მიხედვით, უშუალოდ სარეკრეაციო ზონასთან და შესვლა ხდებოდეს მუდმივ განიავებადი ტამბურის საშუალებით;
2.33 აუცილებელია სან.კვანძების ბუნებრივი განათება, ამასთან ისინი დაცული უნდა იყოს მზის პირდაპირი სხივებისგან;
2.34 მოსწავლეებისთვის საანგარიშოა: ყოველ 30 ბიჭზე 1 უნიტაზი, 1 ხელსაბანი, 1 პისუარი; ყოველ 40 გოგონაზე 1 უნიტაზი, 2 ხელსაბანი. მასწავლებლებისთვის: 20 მამაკაცზე 1 უნიტაზი, 1 ხელსაბანი; 10 ქალზე 1 უნიტაზი, 2 ხელსაბანი;

- სან.კვანძის კაბინის ზომები: 0.9X1.2 მ;
- ხელსაბანისთვის საჭირო ფართის ზომები: 0.70X1.10 მ;
- საშხაპე კაბინის ზომები: 0.9X0.9 მ;
- პისუარისთვის საჭირო ფართის ზომები: 0.70X1.10 მ.

3. მოთხოვნები აღჭურვისადმი:

3.1 მოსწავლეთა მაგიდების ზომებია: სიგანე 45-50 სმ; სიგრძე 60-70 სმ;
3.2 სწავლების ფრონტალური ფორმის დროს მაგიდების განლაგება შესაძლებელია 2, 3, 4, 5 ან 6 რიგად;
3.3 თითოეულ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს კომფორტული სამუშაო ადგილი მაგიდასთან ან მერხთან, მისი სიმაღლის, მხედველობის და სმენის მდგომარეობის შესაბამისად;
3.4 სასწავლო კაბინეტების მოწყობისას დაცული უნდა იყოს შემდეგი მანძილები:

1. მერხების რიგებს შორის არაუმცირეს – 0.60 მ;
2. გარე გასწვრივ კედელს და მაგიდების რიგს შორის – 0.50-0.70 მ;
3. შიდა გასწვრივ კედელს (ტიხარს) ან კედლის გასწვრივ მდგარ კარადებს და მაგიდების რიგს შორის - არაუმცირეს 0.50-0.70 მ;
4. ბოლო რიგის მაგიდებს და უკანა კედელს შორის არაუმცირეს 0.70 მ;
5. ბოლო მაგიდებს და უკანა გარე კედელს შორის არაუმცირეს 1 მ;
6. სადემონსტრაციო მაგიდიდან დაფამდე არაუმცირეს 1 მ;
7. პირველი მერხიდან დაფამდე არაუმცირეს 2 მ;
8. ყველაზე დიდი მანძილი ბოლო მერხიდან დაფამდე შეიძლება იყოს 8.60 მ.;

3.5 საბუნებისმეტყველო კაბინეტში მოწყობილი უნდა იყოს სპეციალური საჩვენებელი მაგიდები საჭირო აპარატურით. მას უნდა მიეწოდებოდეს წყალი, დენი, გააჩნდეს საკანალიზაციო სისტემა;
3.6 საბუნებისმეტყველო კაბინეტში მოსწავლეების მაგიდებთან უნდა დამონტაჟდეს წყალ- და ელექტროგაყვანილობა, მოეწყოს კანალიზაცია;
3.7 უცხო ენისა და გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტები მოეწყოს სპეციალური მოთხოვნების მიხედვით, თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით;
3.8 გასათვალისწინებელია კვების ბლოკთან და სპორტდარბაზთან ახლოს ბოილერის განთავსება.

4. საევაკუაციო გზები:

4.1 მიწისპირა სართულზე უნდა მოეწყოს საევაკუაციო გასასვლელი ყველა კიბის უჯრედიდან;
4.2 კიბის საფეხურების რაოდენობა ერთ მარშზე, ბაქნებს შორის, უნდა იყოს არაუმცირეს 3 და არაუმეტეს 16. ერთმარშიანი კიბეებისთვის პირველი სართულის საზღვრებში დასაშვებია არაუმეტეს 18 საფეხური;
4.3 დამოუკიდებელი კიბეები, რომლებიც აერთებს სარდაფის და ცოკოლის სართულებს პირველ სართულზე არსებულ დერეფანთან, ჰოლთან ან ვესტიბიულთან, სარდაფის და ცოკოლის სართულებიდან ევაკუაციის ანგარიშის დროს მხედველობაში არ მიიღება;
4.4 დაუშვებელია საევაკუაციო გზებზე სპირალური კიბეები და ასარბენი საფეხურები;
4.5 კიბის უჯრედებს უნდა ჰქონდეს ბუნებრივი განათება; ისინი გამიჯნული უნდა იყოს სხვა სათავსებისაგან კარებით;
4.6 სკოლის სათავსებიდან ერთ-ერთი გასასვლელი შესაძლებელია იყოს უშუალოდ ვესტიბიულში, გარდერობში, სართულის ჰოლში ღია კიბის მიმდებარედ;
4.7 კიბის მარშის სიგანე უნდა იყოს არაუმცირეს 1.3 მეტრისა და არაუმეტეს 2 მეტრისა;
4.8 კიბის საფეხურის ზომები: 0.15X0.30 მ.

5. ბუნებრივი განათება:

5.1 სკოლის შენობის სათავსებში გათვალისწინებული უნდა იყოს უშუალოდ ბუნებრივი განათება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - მზისგან დამცავი საშუალებები;
5.2 ფანჯრის ღიობების ფართი უნდა უზრუნველყოფდეს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი ბუნებრივი განათებულობის დონეს;
5.3 7 მეტრზე მეტი სიღრმის სასწავლო სათავსებისათვის აუცილებელია ორმხრივი ბუნებრივი განათება, რომელთაგან ერთ-ერთი დასაშვებია იყოს მეორადი;
5.4 მიუხედავად განათების ტიპისა (გვერდითი, ზედა ან კომბინირებული) სკოლის სასწავლო სათავსებში სინათლის ძირითადი წყარო გათვალისწინებული უნდა იყოს მარცხენა მხრიდან;
5.5 დაუშვებელია საკლასო დაფის განთავსება სინათლის წყაროს მხარეს.

6. სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობები:

6.1 სკოლის შენობა აღჭურვილი უნდა იყოს ცენტრალური გათბობით, ცივი და ცხელი წყალგაყვანილობით და კანალიზაციით;
6.2 სასურველია გათბობის რადიატორების ფანჯრების ქვეშ განთავსება;
6.3 სასწავლო სათავსებიდან უშუალოდ გათვალისწინებული უნდა იყოს ბუნებრივი გამწოვი ვენტილაცია ერთჯერადი ცვლის ოდენობით ერთ საათში. ჰაერის დანარჩენი მოცულობის მოცილება ხორციელდება რეკრეაციული

სათავსოებიდან, შემდგომი გაწოვით სანიტარული კვანძებიდან და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გამწოვი კარადიდან;
6.4 გამწოვი ვენტილაციის დამოუკიდებელი სისტემები უნდა იყოს გათვალისწინებული საკლასო სათავსების, ლაბორატორიების, სააქტო დარბაზის, სპორტდარბაზის, კვების ბლოკის და მედპუნქტისათვის.

7. ცივი და ცხელი წყალმომარაგება:

7.1 ცივი წყლის გაყვანილობა უნდა იყოს გათვალისწინებული: ხელსაბანებთან I-VI კლასების თითოეულ საკლასო ოთახში, ხაზვის და სახვითი ხელოვნების კაბინეტში, ლაბორატორიული მაგიდების ნიჟარებთან საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში, სანიტარული კვანძების ჩასარეცხ ავზებთან, სასმელ შადრევნებთან რეკრეაციულ სათავსებში;
7.2 ცივი და ცხელი წყლის გაყვანილობა უნდა იყოს გათვალისწინებული: ხელსაბანთან სამასწავლებლოში, ექიმის კაბინეტში, ლაბორატორიულ კარადასთან საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში, სამეურნეო მომსახურეობის ონკანებთან, სანიტარული კვანძების ხელსაბანებთან, შხაპებთან, ტექნოლოგიურ დანადგარებთან კვების ბლოკში.

8. ხელოვნური განათება და ელ. ტექნიკური მოწყობილობები:

8.1 დასაშვებია ხელოვნური განათება სამზარეულოს საკუჭნაოებსა და მაცივარკამერებში, სამზარეულოს პერსონალის სანიტარულ კვანძებსა და საშხაპეებში, სასადილოს დერეფნებში, სააქტო დარბაზებისა და პერსონალის სანიტარულ კვანძებში, საინვენტაროებში, საშხაპეებსა და სხვა;
8.2 დაპროექტებული უნდა იყოს გარე განათება მიწის ნაკვეთზე.

9. სუსტი დენები:

9.1 სკოლის შენობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სატელეფონო სისტემით;
9.2 გათვალისწინებული უნდა იყოს სატელევიზიო, კომპიუტერული, ინტერნეტის ქსელები, ელექტროზარის სისტემა.

10. გაზმომარაგება:

10.1 ელექტროგამაცხელებელი მოწყობილობების უქონლობის შემთხვევაში დასაშვებია გაზმომარაგება;
10.2 გაზგაყვანილობის მოწყობა სარდაფებსა და ცოკოლის სართულებში დაუშვებელია.

11. მოთხოვნები შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პირთათვის:
სკოლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადაადგილებისათვის საპროექტო გადაწყვეტილების ხარისხი მიიღწევა შემდეგი აუცილებელი მოთხოვნების დაცვით:

11.1 **მომსახურების ადგილამდე მიღწევადობა:**

I. გათვალისწინებული უნდა იყოს ქალაქმშენებლობითი მოთხოვნები სკოლის ტერიტორიაზე შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პირთა შეუფერხებელი და მოხერხებული გადაადგილებისათვის;

II. შენობაში უნდა იყოს მოწყობილი მინიმუმ ერთი მიწისპირა შესასვლელი შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პირთათვის;

III. კარების ღიობებს, როგორც წესი არ უნდა ჰქონდეს ზღურბლი;

IV. აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია დონეთა სხვაობა არაუმეტეს 2,5 სანტიმეტრისა;

V. საკომუნიკაციო ზოლის სიგანე სავარძლიანი ეტლით ერთმხრივი მოძრაობისას უნდა იყოს არაუმცირეს 1,5 მ, შემხვედრი მოძრაობისას – არაუმცირეს 1,8 მ;

VI. კიბის მარშის სიგანის 2,5 მ-ზე მეტის შემთხვევაში, გასათვალისწინებელია დამატებითი გამყოფი მოაჯირები;

VII. პანდუსის სიგანე, ერთმხრივი გადაადგილებისას უნდა იყოს არაუმცირეს 1,0 მ, ორმხრივი მოძრაობისას – არაუმცირეს 1,8 მ;

VIII. პანდუსის ერთი ასასვლელის მაქსიმალური სიმაღლე უნდა იყოს არაუმეტეს 0,8 მ, დახრით არაუმეტეს 8 %;

IX. ბაქნის სიგანე უნდა იყოს არაუმცირეს კიბის მარშის ან პანდუსის სიგანის, ჰორიზონტალურ მონაკვეთზე - სიღრმით არაუმცირეს 1,5 მ;

X. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის გასათვალისწინებელია ლიფტი (ფოიეში ან მასთან ახლოს);

XI. ლიფტის კაბინის გაბარიტები, სავარძლიანი ეტლისათვის, უნდა იყოს შიდა ზომებით არაუმცირეს: სიგანე-1,1 მ; სიღრმე-1,5 მ; კარების ღიობის სიგანე-0,9 მ (სტანდარტების მიხედვით).

11.2 **უსაფრთხოება:**

I. შენობის შესასვლელი ბაქნები დაცული უნდა იყოს ატმოსფერული ნალექებისგან;

II. უნარშეზღუდულ პირთა გადაადგილების გზები შენობის შიგნით (გაბარიტები, დახრები, ღიობები, შვერილები) დაპროექტებული უნდა იყოს საევაკუაციო გზების მოთხოვნების გათვალისწინებით, საავარიო სიტუაციების საანგარიშო პირობების მიხედვით;

III. ყველა კიბის საფეხური ზომებით - 0.15X0.30 მ, მარშის საზღვრებში და კიბის უჯრედებში, აგრეთვე გარე კიბეების, უნდა იყოს ერთნაირი გეომეტრიის (საფეხურის ზომების სიღრმისა და სიმაღლის მიხედვით);

11.3 **კომფორტულობა:**

I. ყოველ სართულზე გათვალისწინებული უნდა იყოს 2 ან 3 ადგილი დასასვენებლად, მათ შორის სავარძლიანი ეტლის მქონე პირთათვის;

II. გათვალისწინებული უნდა იყოს სანიტარული კვანძი, შიდა ზომებით: სიგანე – 1,65 მ; სიღრმე – 1,8 მ; სანიტარული კვანძის კარი უნდა იღებოდეს გარეთ.

*ყველა საევაკუაციო კარი უნდა იყოს არაუმცირეს 1 მ სიგანის და უნდა იღებოდეს შიგნიდან გარეთ.